



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კუმისის ტბა

კუმისის ტბა, ტბა აღმოსავლეთ საქართველოში, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, იაღლუჯის ქედსა და და წალასურის ვაკეს შორის არსებულ კუმისის ტაფობში, სოფ. კუმისის სამხრ.-აღმ-ით, ზ. დ. 475 მ სიმაღლეზე. ზედაპირის ფართ. – 4,5 კმ², აუზისა – 97 კმ² დას-იდან აღმ-კენ გადაჭიმულია 3,2 კმ-ზე, ჩრდ-იდან სამხრ-კენ – 2 კმ-ზე. მაქს. სიღრმე – 4 მ. სანაპირო დაფარულია იელითა და ლელქაშით.

XX ს. 60-იან წლებში კ. ტ-ის ფართობი იყო 0,48 კმ², ტბის წყალი – მარილიანი. შეიცავდა ძირითადად გლაუბერის მარილს (მირაბილიტს). 80-იან წლებში აქ განხორციელდა მასშტაბური პროექტი: ტბაში ჩაუშვეს ორი არხის წყალი. ერთით წყალს მდ. მტკვრიდან ტურბინებით ქაჩავდნენ, მეორე კი მდ. ალგეთიდან თვითდინებით ეშვებოდა. ამით ტბის წყალი გაამტკნარეს და შემდეგ მოაშენეს სხვადასხვა სახეობის თევზი: სქელშუბლა, კეფალი, საზანი, ხრამული, წვერა, ლოქო, სარკისებრი კობრი და სხვ.

კ. ტ-ის ფსკერი ფსევდოვულკ. წარმოშობის მაღალხარისხოვანი სამკურნალო თვისებების მქონე სულფიდური ლამის ტალახითაა დაფარული, რ-ის სისქე ზოგან რამდენიმე ათეული სანტიმეტრია. კუმისის ტალახი წარმატებით გამოიყენება თბილ. ბალნეოლ. კურორტზე და ქვეყნის მრავალ სამედ. დაწესებულებაში.

ლიტ.: საქართველოს ბუნებრივი რესურსები, ტ. 2, თბ., 2015.
